



ევროკავშირი
საქართველოსთვის
ENPARD



პროექტი: წყალტუბოს განვითარების ჯგუფი

2021 წლის გაზაფხულის

საგრანტო კონკურსის სახელმძღვანელო

წინამდებარე პუბლიკაცია შექმნილია ევროკავშირის დახმარებით. მის შინაარსზე პასუხისმგებელია „ფიფლ ინ ნიდ“ (PIN) და „წყალტუბოს განვითარების ჯგუფი“ და პუბლიკაციის შინაარსის ევროკავშირის პოზიციად აღქმა დაუშვებელია”.

ჩეხური არასამთავრობო ორგანიზაცია „ფიფლ ინ ნიდ“ წყალტუბოს მუნიციპალიტეტში ახორციელებს სოფლის განვითარების პროექტს „ევროპის სამეზობლო პროგრამის სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის“ (ENPARD) ფარგლებში. ENPARD საქართველოში 2013 წლიდან ხორციელდება. იგი მიზნად ისახავს საქართველოს სოფლის განვითარებას და სოფლის მეურნეობის სექტორის გამოცოცხლებას ხელისუფლებას, სამოქალაქო საზოგადოებასა და სოფლად მცხოვრებ მოსახლეობას შორის მრავალმხრივი თანამშრომლობის პირობებში. პროექტი „წყალტუბოს განვითარების ჯგუფი“ ამ პროგრამის III ფაზის ფარგლებში არის დაფინანსებული და მას ახორციელებს ორგანიზაცია PIN პარტნიორ ორგანიზაცია „საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტთან“ (GIPA) ერთად. ასევე, პროექტის ფინანსური მხარდამჭერია ჩეხეთის რესპუბლიკის განვითარების სააგენტო (CzDA).

აღნიშნული პროექტის ფარგლებში „ფიფლ ინ ნიდ“ აცხადებს 2021 წლის გაზაფხულის საგრანტო კონკურსს. წინამდებარე დოკუმენტი კი წარმოადგენს საგრანტო სახელმძღვანელოს ყველა დაინტერესებული პირისთვის, რომელთაც ექნებათ სურვილი, მიიღონ დეტალური ინფორმაცია გამოცხადებული საგრანტო კონკურსის შესახებ.

კონკურსის მიზანია „წყალტუბოს განვითარების ჯგუფის“ (LAG Tskaltubo) მიერ შემუშავებული „წყალტუბოს ადგილობრივი განვითარების სტრატეგია 2020-2024“ ამოცანებისა და მიზნების განხორციელების ხელშეწყობა.

2021 წლის გაზაფხულის საგრანტო კონკურსი ეხმიანება „Covid-19“ პანდემიით გამოწვეულ საჭიროებებს და აღნიშნულ კონკურსში უფრო მაღალი პრიორიტეტულობის დონით ისარაგებლებს შემდეგი სახის მიმართულებები:

- ბიზნეს სტარტაპების დაარსება და განვითარება;
- ახალგაზრდული ინიციატივების განხორციელება;
- ინოვაციური ბიზნეს პროექტების დაარსება და განვითარება;
- სოციალური და გასართობი აქტივობები;
- პროექტები, რომლებიც ხელს უწყობს მოწყვლადი ჯგუფების წარმოდგენლების - ახალგაზრდების, ქალების, მაღალმთიან რეგიონში მცხოვრები პირების, იძულებით გადაადგილებული პირების, ეკო მიგრანტებისა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების ინტეგრაციასა და დასაქმებას;
- პროექტები, რომლებიც მხარს უჭერს სოფლად მცხოვრებ მოსახლეობას, როგორც სოციალური სერვისების მიწოდებით, ისე ბიზნეს საქმიანობების წარმართვით;

(დეტალურად იხილეთ, 2021 წლის გაზაფხულის საგრანტო სახელმძღვანელოს დანართი N1, 21 გვ.)

საგრანტო კონკურსი მოიცავს მთლიანად წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ფარგლებს. პროექტის ფარგლებში დაფინანსდება საჯარო, სათემო და ბიზნეს ინიციატივები. ყველა პროექტს მოეთხოვება ფულადი თანადაფინანსება.

მნიშვნელოვანი ინფორმაცია 2021 წლის გაზაფხულის საგრანტო კონკურსისათვის

პროექტ „წყალტუბოს განვითარების ჯგუფის“ ფარგლებში 2021 წლის გაზაფხულის საგრანტო კონკურსი დაიწყება ამავე წლის მარტში. კონკურსის ფარგლებში მხარდაჭერილი საგრანტო პროექტები ფუნქციონირებადი უნდა იყოს საგრანტო ხელშეკრულების ხელმოწერიდან მაქსიმუმ 12 თვის ვადაში.

2021 წლის გაზაფხულის საგრანტო კონკურსით დაინტერესებულმა ყველა პირმა მხედველობაში უნდა მიიღოს „წყალტუბოს ადგილობრივი განვითარების სტრატეგია 2020-2024-ის“ მიზნები და ამოცანები. გთხოვთ, გაითვალისწინოთ, რომ „Covid-19“ პანდემიით გამოწვეული საჭიროებებიდან გამომდინარე, 2021 წლის გაზაფხულის საგრანტო კონკურსისთვის მოქმედებს სპეციალური პრიორიტეტები. (დეტალურად იხილეთ, 2021 წლის გაზაფხულის საგრანტო სახელმძღვანელოს დანართი N1, 21 გვ.)

პრიორიტეტი მიენიჭება პროექტებს, რომლებიც მიზნად ისახავს რამდენიმე სექტორის თანამშრომლობას: თანამშრომლობა ეკონომიკურ სექტორებს შორის (მაგალითად - ტურიზმისა და სოფლის მეურნეობის სექტორებს შორის), საჯარო და კერძო სექტორებს შორის.

„Covid-19“-ის პანდემიასთან დაკავშირებული რისკებიდან გამომდინარე, საგრანტო კონკურსის რიგი აქტივობები, როგორებიცაა საინფორმაციო შეხვედრები, საგრანტო კონსულტაციები და ტრენინგები პროექტის შედგენაზე, შესაძლოა განხორციელდეს დისტანციურად, სხვადასხვა ინტერნეტ-ტექნოლოგიების გამოყენებით. აღნიშნულის შესახებ ინფორმაცია გამოქვეყნდება „წყალტუბოს განვითარების ჯგუფის“ ოფიციალურ ვებ-გვერდსა და ფეისბუქ გვერდზე.

მიმდინარე კონკურსის განსაკუთრებული პირობები:

- ყველა წარმოდგენილი პროექტი უნდა აკმაყოფილებდეს „Covid-19“-ის ეპიდემიოლოგიური რისკის შემცირების სტანდარტებს საქმიანობის სფეროების შესაბამისად (ნათლად უნდა იყოს აღწერილი საპროექტო განაცხადში).
- მიმდინარე საგრანტო კონკურსში თუ ერთი ოჯახიდან წარდგენილი იქნება ერთზე მეტი განაცხადი, და ოჯახიდან ერთზე მეტი განმცხადებელი გადალახავს შერჩევის პირველ ეტაპს, ოჯახის წევრებმა უნდა შეარჩიონ მხოლოდ ერთი პროექტი შემდეგ ეტაპზე გადასასვლელად. იგივე ოჯახიდან წარდგენილი სხვა საპროექტო განაცხადი შეიძლება ხელახლა იქნას წარდგენილი საგრანტო კონკურსის მომავალ რაუნდებში.
- 2021 წლის გაზაფხულის საგრანტო კონკურსში, ნაკლებად პრიორიტეტული მიმართულებებია:
 - საოჯახო სასტუმროების აშენება, რემონტი ან განახლება;
 - სასათბურე მეურნეობის გაშენება და გაფართოება; (გამონაკლისია, სათბურები, სადაც იგეგმება ინოვაციური პროდუქტის წარმოება ან ინოვაციური ტექნოლოგიის დანერგვა)
- ყველა მხარდაჭრილი პროექტის განხორციელების გეგმა შემუშავდება ინდივიდუალურად და საგრანტო ხელშეკრულებების დაიდება შესაბამისი გეგმის მიხედვით.

საგრანტო კონკურსის ეტაპები, ვადები და განცხადების შერჩევა/შეფასების პროცესი.

საინფორმაციო კამპანია

საგრანტო განაცხადების მიღებამდე განხორციელდება ღონისძიებები, რომლებიც უზრუნველყოფს ინფორმაციის მაქსიმალურად გავრცელებას წყალტუბოს

მუნიციპალიტეტში. საინფორმაციო კამპანიის დროს, მოხდება საგრანტო კონკურსის შესახებ ზოგადი ინფორმაციის მიწოდება შემდეგი საშუალებებით: „წყალტუბოს განვითარების ჯგუფის“ ვებ-გვერდი, სოციალური მედია, საჯარო შეხვედრები და პოსტერები. საინფორმაციო კამპანიის მიმდინარეობისას სამუშაო დღეებში იმუშავებს ცხელი ხაზი - **595 79 23 00** (10.00-დან 18.00 სთ-მდე). ასევე, „წყალტუბოს განვითარების ჯგუფის“ წევრები ჩაერთვებიან საინფორმაციო კამპანიაში, რათა მაქსიმალურად მოხდეს ინფორმაციის გავრცელება საგრანტო კონკურსის შესახებ.

საინფორმაციო პოსტერები განთავსდება ყველა სოფელში და ქალაქ წყალტუბოში. საგრანტო კომპონენტით დაინტერესებული პირები უნდა გაეცნონ წყალტუბოს ადგილობრივი განვითარების სტრატეგიას და 2021 წლის გაზაფხულის საგრანტო კონკურსის სპეციალურ პრიორიტეტებს.“ (იხილეთ, დანართი N1, 21 გვ.)

დაწვრილებითი ინფორმაცია საგრანტო კონკურსის პირობების შესახებ და მასთან დაკავშირებული დოკუმენტები, ასევე, განთავსდება „ფიფლ ინ ნიდის“ ვებ- გვერდზე www.pin.ge; „წყალტუბოს განვითარების ჯგუფის“ Facebook-ის გვერდზე: ([LAG Tskaltubo - წყალტუბოს განვითარების ჯგუფი](https://www.facebook.com/LAG-Tskaltubo)) და ვებ-გვერდზე : www.ts kaltubolag.ge

საგრანტო კონკურსში მონაწილეობა

ნებისმიერ საჯარო და იურიდიულ პირს (კომერციული და არაკომერციული ორგანიზაციები) და 18 წელს მიღწეულ საქართველოს მოქალაქე ფიზიკურ პირებს შეუძლიათ მიიღონ მონაწილეობა საგრანტო კონკურსში (ქვემოთ ჩამოთვლილი რეგულაციების გათვალისწინებით), იმ პირობით, რომ ყველა წარდგენილი პროექტი განხორციელდება წყალტუბოს მუნიციპალიტეტში და განმცხადებელი თანხმდება თანადაფინანსების მოთხოვნის პირობებს. პროექტების შეფასების დროს, მსგავსი ქულების შემთხვევაში, პრიორიტეტი მიენიჭება წყალტუბოს მუნიციპალიტეტში მუდმივად მაცხოვრებელი პირის პროექტს.

კონკურსში მონაწილეობის უფლება არ აქვთ:

- პოლიტიკურ პარტიებს,
- რელიგიურ ორგანიზაციებს,
- ფინანსურ ინსტიტუტებს (ბანკი, მიკროსაფინანსო ორგანიზაცია, ლომბარდი და ა.შ),
- ორგანიზაციებს, კავშირებს, გაერთიანებებს, საინიციატივო ჯგუფებს და ა.შ. რომლებიც სქესის, რელიგიური შეხედულებების, ეთნიკური წარმომავლობის და სექსუალური ორიენტაციის საფუძველზე ახდენენ ფიზიკური პირების ან/და კონკრეტული ჯგუფების დისკრიმინაციას,

- უცხო ქვეყნის მოქალაქეებს; (შესაძლოა დაიშვას უცხოური პარტნიორი ორგანიზაციის განაცხადები. ასეთ შემთხვევაში თითოეული განაცხადის განიხილვა მოხდება ინდივიდუალურად.),
- „ფიფლ ინ ნიდისა“ და “GIPA-ს” თანამშრომლებს და მათი ოჯახის წევრებს.

განმცხადებლების კატეგორიები და სავალდებულო მინიმალური თანადაფინანსების მოთხოვნა

პროექტის ტიპი	შესაძლო განმცხადებელი	მოთხოვნილი ფულადი თანამონაწილეობა
საჯარო პროექტები	საჯარო სამართლის იურიდიული პირები, ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოები; მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული(ა)იპ-ები და სხვა საჯარო სტრუქტურები, ასევე, საგანმანათლებლო ინსტიტუტები.	<ul style="list-style-type: none"> • პროექტის მთლიანი ბიუჯეტის მინიმუმ 20%. აუცილებელია, დადასტურებულ იქნას ხელმოწერილი დოკუმენტით. • ამასთანავე, განმცხადებელმა უნდა წარმოადგინოს დოკუმენტი, რომ პროექტი უკვე არ არის გათვალისწინებული თავისივე დამტკიცებულ ბიუჯეტში. <p>(თანადაფინანსების პროცენტული რაოდენობა დაიანგარიშეთ პროექტის მთლიანი ბიუჯეტიდან)</p>

<p>სათემო პროექტები</p>	<p>მოქალაქეთა ჯგუფები, სამოქალაქო საზოგადოების აქტორები/ ორგანიზაციები (ააიპ), საინიციატივო ჯგუფები(მინიმუმ 3 ადამიანისგან შემდგარი), რომლებიც განახორციელებენ პროექტს წყალტუბოს მუნიციპალიტეტში.</p>	<ul style="list-style-type: none"> პროექტის მთლიანი ბიუჯეტის მინიმუმ 20%. აუცილებელია, დადასტურებული იქნას ხელმოწერილი დოკუმენტით. <p>(თანადაფინანსების პროცენტული რაოდენობა დაიანგარიშეთ პროექტის მთლიანი ბიუჯეტიდან)</p>
<p>ბიზნეს პროექტები</p>	<p>საქართველოში რეგისტრირებული იურიდიული პირები (შპს,სპს,სსდაა.შ) როგორც არსებული მცირე ბიზნესის წარმომადგენლები (ორგანიზაცია, რომელსაც 15 თანამშრომელზე ნაკლები ყავს დასაქმებული), ასევე, ინდივიდუალური პირები ან პირთა ჯგუფები, რომლებიც მზად არიან, დაფინანსების მიღების შემთხვევაში, დაარეგისტრონ ბიზნეს საქმიანობა საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. ასევე, რეგისტრირებული სტატუსის მქონე სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივები. ასევე, ორგანიზაციებს, რომლებიც ახორციელებენ მოგებაზე ორიენტირებულ პროექტებს (სოციალური მეწარმეობა).</p>	<ul style="list-style-type: none"> პროექტის მთლიანი ბიუჯეტის მინიმუმ 30%. ასევე, გამონაკლისის სახით, სტარტაპ პროექტებისთვის, რომელთა მთლიანი ბიუჯეტი არის € 8 000 ევრო ექვივალენტი ლარში თანადაფინანსება განისაზღვრება - 15 %-ით. <p>(თანადაფინანსების პროცენტული რაოდენობა დაიანგარიშეთ პროექტის მთლიანი ბიუჯეტიდან)</p>

თანამონაწილეობად ჩაითვლება მხოლოდ საგრანტო კონკურსში გამარჯვებულ მონაწილესთან ხელშეკრულების ხელმოწერის შემდეგ დახარჯული თანხა. ბენეფიციარმა უნდა წარმოადგინოს საპროექტო განაცხადის ბიუჯეტის საკუთარი თანამონაწილეობის შესაბამისად განხორციელებული შესყიდვების

დამადასტურებელი დოკუმენტაცია.

საბოლოო ეტაპზე გასული ყველა პროექტის ავტორთან ინდივიდუალურად შეთანხმდება და გაიწერება თანადაფინანსების ვალდებულება დროში. აქვე, აუცილებლად იქნება გათვალისწინებული პროექტის რიგი საჭიროებები და თავისებურებები.

საგრანტო დაფინანსების ოდენობა

„ფიფლ ინ ნიდისგან“ მოთხოვნილი თანხა უნდა იყოს € 1000-დან € 30000-მდე (ექვივალენტი ლარში). გამონაკლის შემთხვევებში, მიმდინარე საგრანტო კონკურსის ფონდების ხელმისაწვდომობისა და პროექტის სტრატეგიული მნიშვნელობის გათვალისწინებით (მაგალითად, თუ პროექტი ემსახურება რამდენიმე სექტორის განვითარება/თანამშრომლობას), „ფიფლ ინ ნიდმა“ შესაძლოა განიხილოს გრანტის მოცულობის გაზრდა მაქსიმუმ € 60000-მდე (ექვივალენტი ლარში).

სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები, მხოლოდ ისინი, რომლებსაც ბოლო 5 წლის განმავლობაში წარმატებულად აქვთ განხორციელებული მინიმუმ სამი საგრანტო პროექტი, გააჩნიათ გრანტის მართვის გამოცდილება და დამტკიცებული ფინანსური აღრიცხვის სისტემა და მექანიზმი, შეუძლიათ, მოითხოვონ €30 000-მდე (ექვივალენტი ლარში) დაფინანსება. ყველა სხვა სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებს შეუძლიათ პროექტისათვის მოითხოვონ დაფინანსება €5 000-მდე (ექვივალენტი ლარში), როგორც პირდაპირი დაფინანსებით, ასევე საწარმო საშუალებების შეძენით (დეტალური ინფორმაციისათვის იხ. თავი „საგრანტო ხელშეკრულება და შესყიდვები“).

სრული განაცხადის შემოტანისას, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებმა უნდა წარმოადგინონ:

- განხორციელებული პროექტების დასახელებები, დონორთა დაფინანსებები და დონორთა სია; პროექტის პარტნიორების სარეკომენდაციო წერილები; უკვე განხორციელებული პროექტების შესახებ, ნებისმიერი ფორმით; კვლევები, შეფასებები (ასეთის არსებობის შემთხვევაში).
- განმცხადებლებს მოეთხოვებათ წარმოადგინონ დოკუმენტაცია/ინფორმაცია მათი პროცედურების, პოლიტიკის და სხვა იმ საშუალებების შესახებ, რომლითაც ორგანიზაცია აკონტროლებს თავისი ფინანსური რესურსების მიმართულებას, გამოყოფასა და გამოყენებას.

რაც შეეხება სტარტაპ ბიზნეს პროექტებს, პირველ რიგში უნდა აღინიშნოს, რომ მათი მხარდაჭერის აუცილებლობა გამოვლინდა - „წყალტუბოს განვითარების ჯგუფის“ მიერ განხორციელებული „Covid-19“ პანდემიის პირობებში წყალტუბოს მუნიციპალიტეტში გამოვლენილი გამოწვევების შესახებ კვლევისა და ორგანიზაციის აქტიურ წევრებთან განხორციელებული განხილვის შედეგად. აღინიშნა, რომ

მუნიციპალიტეტში მნიშვნელოვანი ადამიანური რესურსის შემოდინება მოხდა და ამ რესურსის ეფექტურ ათვისებისთვის, მნიშვნელოვანია, საგრანტო კონკურსის ფარგლებში შანსი მივცეთ იმ ადამიანებს, ვისაც აქვთ სურვილი წვლილი შეიტანონ მუნიციპალიტეტის განვითარებაში, აქვთ ბიზნეს იდეა, შესაბამისი გამოცდილება და მომავალ განვითარებას უკავშირებენ წყალტუბოს მუნიციპალიტეტს. სწორედ ამიტომ, 2021 წლის გაზაფხულის საგრანტო კონკურსში სტარტაპ ბიზნეს პროექტებისთვის იმოქმედებს სპეციალური პირობა, რომლის თანახმად, სტარტაპ ბიზნეს პროექტს, რომლის მთლიანი ბიუჯეტი 8 000 € - ევროს ექვივალენტ ლარს შეადგენს, შეუძლია საგრანტო კონკურსის ფარგლებში მოიპოვოს 15 %-იანი თანადაფინანსება.

დაუშვებელი ხარჯები, მათ შორის, განმცხადებლის თანადაფინანსების ნაწილში:

- ვალების/სესხების დაფარვა;
- ხარჯები, რომლებიც დაკავშირებული არაა საგრანტო პერიოდთან (ხელფასები/ჰონორარი და სხვა მიმდინარე ხარჯები);
- უკვე აღებული ვალდებულებების დაფინანსება (მაგ. სხვა წყაროდან უკვე დაფინანსებული ვალდებულებების დაფინანსება);
- ინდივიდუალური ხარჯები (მაგ. საგანმანათლებლო და სამოგზაურო ხარჯები).

“ფიფლ ინ ნიდისგან“ მოთხოვნილი თანხებით არ ფინანსდება შემდეგი ხარჯები:

- ხელფასები (გამონაკლის შემთხვევაში შესაძლოა დაფინანსდეს ექსპერტის/სპეციალისტის ჰონორარი);
- მიმდინარე ხარჯები (იჯარა, კომუნალური ხარჯები და სხვა ყოველდღიური ხარჯები, რომლებიც გამოიყენება ბიზნესის ფუნქციონირებისათვის საშუალოდ ერთი წლის განმავლობაში) /საბრუნავი საშუალებები;
- მსხვილფეხა და წვრილფეხა რქოსანი პირუტყვის, შინაური ცხოველის/ფრინველების შეძენა, გამონაკლისის სახით დაფინანსდება ფუტკრის ოჯახების შეძენა განმცხადებელთან ინდივიდუალური კონსულტაციის საფუძველზე;
- უძრავი ქონების შეძენა;
- სემინარებში, სამუშაო შეხვედრებში და კონფერენციებში ინდივიდუალური მონაწილეობა;
- აკადემიური და სამეცნიერო კვლევები;
- სასწავლო/სამეცნიერო გრანტები (გარდა სპეციფიკური საჭიროების პროფესიული კურსების);

- ნებისმიერი პროექტი, რომელიც გულისხმობს მხოლოდ ერთჯერადი საქმიანობის განხორციელებას, მათ შორის, ტრენინგს;
- ჰუმანიტარული აქციები და საქმიანობა;
- ვალები და მომავალი შესაძლო ზარალისათვის გათვალისწინებული ხარჯები.
- ზარალი, გამოწვეული სავალუტო კონვერტაციის შედეგად;
- გადასახდელი პროცენტები, საურავები, ჯარიმები;
- მესამე მხარისათვის გაცემული სესხები;
- სადაზღვევო ხარჯები;
- საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით აკრძალული საქმიანობები.
- სალიცენზიო და სანებართვო მოსაკრებელი

ხარჯები, რომელთა გათვალისწინება დაუშვებელია „ფიფლ ინ ნიდისგან“ მოთხოვნილი გრანტის ნაწილში, მაგრამ შესაძლებელია განმცხადებლის თანადაფინანსების ნაწილში:

- მიწის და შენობის ყიდვა;
- სარემონტო მასალები და მომსახურება;
- მშენებლობა (გამონაკლისია სათბურები, სადაც იგეგმება ინოვაციური პროდუქტის წარმოება ან ინოვაციური ტექნიკის გამოყენება);
- ნედლეული, თესლი, ნერგები;
- ცოცხალი საქონლის/ფრინველის შესყიდვა;
- ლიცენზიების, ნებართვების და მოსაკრებლების ხარჯები, დამოუკიდებლად მოწვეული ექსპერტები და კონსულტანტები.

წყალტუბოს განვითარების ჯგუფის პროექტების შეფასების კომისია

პირველადი და სრული საპროექტო განაცხადების განხილვა და შეფასება მოხდება „წყალტუბოს განვითარების ჯგუფის“ პროექტების შეფასების კომისიის წევრების და ტექნიკური ექსპერტების მიერ. ტექნიკური ექსპერტები წარმოდგენილი იქნებიან განმახორციელებელი ორგანიზაციიდან და საჭიროებისამებრ, დამატებით მოიწვევა ექსპერტები კონსულტაციების გასაცემად. ტექნიკური ექსპერტების ჩართვის მიზანია, მხარდაჭერა აღმოუჩინონ „წყალტუბოს განვითარების ჯგუფის“ პროექტების შეფასების კომისიას 2021 წლის გაზაფხულის საგრანტო კონკურსის პროექტების შეფასების პროცესში. კონკრეტულად კი ეს ჩართულობა მიზნად ისახავს, გამოცდილების გაზიარების მიზნით, პროექტების შეფასების წევრების გაძლიერებას. ამასთანავე, „ფიფლ ინ ნიდ“ უზრუნველყოფს პროექტების შესაბამისობას დონორის მოთხოვნებთან.

წყალტუბოს განვითარების ჯგუფის პროექტების შეფასების კომისია არის დროებითი ორგანო, რომელიც ირჩევს გარკვეული დროის განმავლობაში საგრანტო კომპონენტის განხორციელებისთვის. კომისიის წევრები არჩეულნი არიან „წყალტუბოს განვითარების ჯგუფის“ წევრების მიერ. ამჟამად კომისიაში 12 მოქმედი წევრია.

ინტერესთა კონფლიქტის შემთხვევაში, ანუ თუ კომისიის წევრი ან მისი ოჯახის წევრი იღებს სარგებელს ან ფიქსირდება მათი ინტერესები განსახილველ პროექტთან მიმართებაში, ასეთ შემთხვევაში აღნიშნული წევრი არ მონაწილეობს შეფასების პროცესში და ასევე, გაეთიშება პროექტების შეფასების მთლიან რაუნდს. მისი შეფასების უფლება, საჭიროების შემთხვევაში, გადაეცემა მოწვეულ არადაინტერესებულ/ნეიტრალურ პირს, რომელსაც მხოლოდ ამ მიზნით მოიწვევს „ფიფლ ინ ნიდი“. ოჯახის წევრად განიხილება: მეუღლე, შვილები, მშობლები, ბებია-ბაბუა, შვილიშვილები, და-ძმა, მასთან მუდმივად მაცხოვრებელი ნებისმიერი პირი;

თუ კომისიის წევრის მეგობარი, ნათელ-მირონი ან ნათესავი (ზემოთაღნიშნული ოჯახის წევრების გარდა) მიიღებს მონაწილობას საგრანტო კონკურსში, ასეთ დროს, კომისიის წევრი ვალდებულია შეატყობინოს „ფიფლ ინ ნიდს“ და განაცხადოს ინტერესთა კონფლიქტის შესახებ. კერძოდ, ასეთ შემთხვევაში, კომისიის წევრი არ აფასებს მხოლოდ ამ კონკრეტულ პროექტს და ჩართულია სხვა პროექტების შეფასებაში. თუ კომისიის წევრი არ შეატყობინებს მსგავსი შემთხვევის შესახებ პროექტის განმახორციელებელ ორგანიზაციას და არ მოხდება ინტერესთა კონფლიქტის დაფიქსირება, LAG-ის მიერ მიიღება შემდეგი ზომები: ინფორმაცია მიეწოდება წევრთა საერთო კრებას, დაუყოვნებლივ მოხდება კომისიის წევრის დათხოვნა კომისიიდან და ასევე, დადგება ამ პირის LAG-ის წევრობის საკითხი.

კომისიის წევრი, ასევე, არ შეაფასებს თავისი ინსტიტუციის/სამუშაო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ პროექტს და ასევე, გაეთიშება პროექტების შეფასების მთლიან რაუნდს. მისი შეფასების უფლება კი საჭიროების შემთხვევაში, გადაეცემა მოწვეულ არადაინტერესებულ/ნეიტრალურ პირს, რომელსაც მხოლოდ ამ მიზნით მოიწვევს ორგანიზაცია „ფიფლ ინ ნიდი“.

გასათვალისწინებელია ის ფაქტიც, რომ ორგანიზაცია „ფიფლ ინ ნიდ“, როგორც პროექტის განმახორციელებელი ორგანიზაცია, სარგებლობს უფლებით განსაზღვროს თუ რამდენად შეესაბამება საპროექტო განაცხადი დონორთა მოთხოვნებს და მიიღოს საბოლოო გადაწყვეტიება გრანტის გაცემასთან დაკავშირებით.

საგრანტო კონკურსის ეტაპები და ვადები, შეფასების პროცესი

პროექტს „წყალტუბოს განვითარების ჯგუფის“ ფარგლებში საგრანტო კონკურსის მეორე ეტაპი განხორციელდება 2021 წლის მარტიდან - 2021 წლის მაისის ჩათვლით. კონკურსის ფარგლებში მხარდაჭერილი პროექტები ფუნქციონირებადი უნდა იყოს საგრანტო ხელშეკრულების ხელმოწერიდან მაქსიმუმ 12 თვის ვადაში. გთხოვთ, დეტალურად გაეცანით ქვემოთ მოცემულ ინფორმაციას:

I ეტაპი:	პირველადი კონსულტაციები - ვიდეო კონსულტაცია, ცხელი ხაზის კონსულტაცია და 3 დღიანი შეხვედრა-კონსულტაცია. (გთხოვთ გაითვალისწინოთ, საკონსულტაციო შეხვედრაზე დასწრება შეზღუდულია და იმოქმედებს ცხელი ხაზის მეშვეობით (595 79 23 00) წინასწარ ჩაწერის მექანიზმი)
II ეტაპი:	პირველადი საპროექტო განაცხადების წარდგენა;
III ეტაპი:	პირველადი საპროექტო განაცხადების შეფასება;
IV ეტაპი:	ტრენინგი სრული საპროექტო განაცხადის დასაწერად;
V ეტაპი:	სრული საპროექტო განაცხადების წარდგენა და შეფასება;
VI ეტაპი:	შერჩეულ განმცხადებლებთან გასაუბრება და საველე მონიტორინგი;
VII ეტაპი:	საბოლოო გადაწყვეტილება და საგრანტო ხელშეკრულების ხელმოწერა

I ეტაპი: იდეების დაფიქსირება ცხელი ხაზის მეშვეობით და პირველადი კონსულტაციები

პირველ ეტაპზე, პოტენციური განმცხადებლები ვიდეო კონსულტაციის საშუალებით სასურველია გაეცნონ საგრანტო განაცხადის ფორმებს, საჭიროების შემთხვევაში დამატებით გაიარონ მოკლე სატელეფონო კონსულტაცია ცხელი ხაზის ნომერზე - **595 79-23-00**. განმცხადებლებს ასევე ექნებათ შესაძლებლობა 24-25-26 მარტს ჩაეწერონ საკონსულტაციო შეხვედრებზე, რომლებიც „Covid-19“ რეგულაციების დაცვით გაიმართება „წყალტუბოს განვითარების ჯგუფის“ ოფისში (ქ. წყალტუბო, ავალიანის ქუჩა N5). გთხოვთ, გაითვალისწინოთ, რომ „Covid-19“ რეგულაციებიდან გამომდინარე საკონსულტაციო შეხვედრებზე დასწრეთა რაოდენობა მკაცრადაა განსაზღვრული და

გთხოვთ, ისარგებლოთ წინასაწარი ჩაწერის შესაძლებლობით ცხელი ხაზის ნომერზე **595 79-23-00**.

პირველადი კონსულტაცია - საგრანტო განაცხადის ფორმების დეტალური განხილვა ვიდეოს სახით ჩაიწერება სამივე სექტორის, ბიზნესის, საჯარო და სათემო, წარმომადგენლებისთვის და გამოქვეყნდება 2021 წლის 15 მარტს "წყალტუბოს განვითარების ჯგუფის" Facebook გვერდსა და ვებ-გვერდზე. პირველადი საკონსულტაციო ვიდეოების მეშვეობით დაინტერესებული პირები გაეცნობიან საპროექტო განაცხადის ფორმებს და მათი შევსების სპეციფიკას.

ამასთანავე, 3 დღის განმავლობაში, 24-25-26 მარტს, „წყალტუბოს განვითარების ჯგუფის“ ოფისში „Covid-19“ რეგულაციების დაცვით, გაიმართება საკონსულტაციო შეხვედრები, სადაც დამსწრეები მიიღებენ შემდეგი სახის ინფორმაციას: საგრანტო კომპონენტის პრიორიტეტების შესახებ; პროექტების შერჩევის კრიტერიუმები (შემუშავებული წყალტუბოს ადგილობრივი განვითარების სტრატეგიის შესაბამისად) და შეფასების პროცესი; საპროექტო განაცხადის ფორმა, გრანტის მიმღებისადმი არსებული მოთხოვნები და ა.შ.

კონკურსში მონაწილეობის მსურველებს ასევე საშუალება ექნებათ მარტივი კონსულტაციები მიიღონ ცხელი ხაზის საშუალებით 2021 წლის 10 მარტიდან 02 აპრილის ჩათვლით, სამუშაო დღეებში დილის 10 საათიდან - 18 საათამდე.

II ეტაპი: პირველადი საპროექტო განაცხადის წარდგენა:

კონსულტაციების შემდეგ, საგრანტო კონკურსში მონაწილეობის მსურველები წარადგენენ საპროექტო იდეის პირველად განაცხადს (დანართები 3, 5, 7 საპროექტო განაცხადის ტიპის მიხედვით) მხოლოდ ელექტრონული ფორმით PDF ფორმატში, ელექტრონულ მისამართზე lagtskaltubogrants@gmail.com 2021 წლის 10 მარტიდან 02 აპრილის ჩათვლით, 18:00 საათამდე, თბილისის დროით. განაცხადის ფორმა უნდა იყოს შევსებული ნაბეჭდი ფორმით. **ვადის გასვლის შემდეგ, მიღებული განაცხადები არ განიხილება!**

პროექტის პირველადი განაცხადის ფორმა შესაძლებელია ჩამოტვირთოთ „წყალტუბოს განვითარების ჯგუფის“ ვებ-გვერდიდან: www.tskaltubolag.ge

განაცხადი გაეთიშება საგრანტო კონკურსს, თუ:

- პროექტი განხორციელდება წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ფარგლებს გარეთ;
- განმცხადებელი არ არის საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად რეგისტრირებული ფიზიკური ან იურიდიული პირი;
- განაცხადში გამოტოვებულია/შეუვსებელია რომელიმე პუნქტი;
- არ არის დაცული სიტყვების მინიმალური რაოდენობა;
- განაცხადში ზუსტად არ არის მითითებული „წყალტუბოს ადგილობრივი განვითარების სტრატეგიის“ პრიორიტეტების დოკუმენტიდან სტრატეგიული მიზანი და პრიორიტეტული ამოცანა (ზუსტი ციტირება დოკუმენტიდან);
- განმცხადებელი არ იღებს ვალდებულებას აუცილებელ მინიმალურ თანადაფინანსებაზე;

- პროექტი არის პოლიტიკური ან რელიგიური ნიშნით მიკერძობული;
- პროექტი აყენებს ზიანს გარემოს (ყველა პროექტი უნდა შეიცავდეს გარემოზე მოსალოდნელი ზეგავლენის ანალიზს);
- ეწინააღმდეგება 2021 წლის საგრანტო კონკურსის მნიშვნელოვანი ინფორმაციის თავში მოცემულ პირობებს (იხ. გვერდი 2)

III ეტაპი: პირველადი საპროექტო განაცხადის შეფასება:

საპროექტო იდეის პირველადი განაცხადის წარდგენის შემდეგ, წყალტუბოს განვითარების ჯგუფის პროექტების შეფასების კომისიის, ასევე, ტექნიკური ექსპერტების მიერ მოხდება მისი შედარება წყალტუბოს ადგილობრივი განვითარების სტრატეგიისა და 2021 წლის გაზაფხულის საგრანტო კონკურსის ძირითად მოთხოვნებთან (იხილეთ პირველადი საპროექტო განაცხადის შეფასების ფორმა და კრიტერიუმები, დანართები 2, 4, 6). ყველა პირველადი განაცხადი, რომელიც კრიტერიუმებს შეესაბამება და გადალახავს ქულების მინიმალურ ზღვარს, დაშვებული იქნება შემდგომ - სრული საპროექტო განაცხადის მომზადების ეტაპზე.

ყურადღება: არასრული განაცხადების მიღება არ დაიშვება! ორი ერთგვაროვანი/ (მსგავსი) ქულების მქონე პროექტის შეფასებისას უპირატესობა მიენიჭება იმ პროექტს, რომელიც წარმოდგენილია წყალტუბოში მუდმივად მცხოვრები განმცხადებლის მიერ.

პროექტების შეფასების კომისია პირველადი საპროექტო განაცხადების შეფასებისას, იხელმძღვანელებს „წყალტუბოს განვითარების სტრატეგია 2020-2024-ის“ მიზნებიდან და ამოცანებიდან გამომდინარე, „Covid-19“ პანდემიის პირობებში ჩამოყალიბებული 2021 წლის გაზაფხულის საგრანტო კონკურსის სპეცილური პრიორიტეტებით.

ყველა პირველადი საპროექტო განაცხადი დამოუკიდებლად შეფასდება სულ მცირე 3 წევრის მიერ, რომლებიც თავისმხრივ, წარმოადგენენ შეფასების კომისიის წევრებსა და „ფიფლ ინ ნიდის“ ტექნიკურ ექსპერტებს (საჭიროების შემთხვევაში მოხდება დამატებითი ექსპერტების დაქირავება შეფასების კომისიისთვის რეკომენდაციების შესამუშავებლად)

იმ შემთხვევაში, თუ პირველადი საპროექტო განაცხადი შეფასებისას მიიღებს მინიმალურ 50% -ზე ნაკლებ ქულას, ის აღარ გადადის შემდეგ ეტაპზე, ანუ აღარ ხდება მისი წარდგენა სრული საპროექტო განაცხადის მოსამზადებლად.

პირველადი საპროექტო განაცხადების ყველა ავტორი ინფორმირებულნი იქნებიან შეფასების შედეგების შესახებ, სატელეფონო კომუნიკაციის ან ელექტრონული ფოსტის მეშვეობით. შეფასების კომისიის მიერ შერჩეული განაცხადების ავტორები მოწვეულნი იქნებიან შემდეგ ეტაპში მონაწილეობის მისაღებად და მათ ეცნობებათ ტრენინგების განრიგი. იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე განმცხადებელთან ვერ

მოხერხდა სატელეფონო კავშირი, მათთან მოხდება დაკავშირება ელექტრონული ფოსტის საშუალებით.

მონაწილეებს, რომელთა განაცხადებმაც ვერ გადალახეს კონკურსის პირველი ეტაპი, შეუძლიათ მოითხოვონ სარეკომენდაციო წერილი პროექტის გაუმჯობესების შესახებ მხოლოდ ელექტრონული ფოსტის საშუალებით.

კონკურსის შემდეგ ეტაპზე გადასული საპროექტო განაცხადების შესახებ სტატისტიკა და მნიშვნელოვანი ინფორმაცია განთავსდება „წყალტუბოს განვითარების ჯგუფის“ ვებ-გვერდზე - www.ts kaltubolag.ge.

IV ეტაპი: ტრენინგი სრული საპროექტო განაცხადის დასაწერად

ყველა განმცხადებელს, რომლებმაც გადალახეს პირველადი შეფასების ეტაპი, ექნება საშუალება გაიაროს შესაბამისი ტრენინგი ან კონსულტაცია, რომელიც მათ დაეხმარება სრული განაცხადის წარდგენაში. განმცხადებლის არყოფნის შემთხვევაში, დაიშვება მისი უფლებამოსილი წარმომადგენელი.

ბიზნეს პროექტების განმცხადებლებისთვის ხელმისაწვდომი იქნება შემდეგი სახის ტრენინგები:

1. **მეწარმეობის ტრენინგი** - ეს ტრენინგი მოგაწვდით ინფორმაციას ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტების, საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისი მოთხოვნების, იურიდიული რეგისტრაციის ფორმებისა და სხვა ვალდებულებების შესახებ, რომლებიც უნდა შესრულდეს საქართველოში ბიზნესის მიერ;
2. **ბიზნეს გეგმის შემუშავების ტრენინგი** - ეს ტრენინგი მოიცავს ბიზნეს გეგმის შემუშავების, ბიუჯეტის და მარკეტინგული გეგმების შედგენის პრაქტიკულ მეთოდებს, ასევე, პოტენციურ მომხმარებლებზე წვდომის მარტივი მეთოდების დანერგვას.

თითოეულ ბიზნეს განმცხადებელს საკუთარ ბიზნეს გეგმასთან დაკავშირებით ექნება შესაძლებლობა, მოითხოვოს დაახლოებით 1 საათიანი ინდივიდუალური კონსულტაცია მოწვეულ ექსპერტებთან.

გარდა ამისა, სრული განაცხადების წარდგენამდე, ინდივიდუალური ან ჯგუფური საკონსულტაციო შეხვედრები გაიმართება იმ განმცხადებლებთან, რომელთა საპროექტო განაცხადის იდეაც ექვემდებარება კანონმდებლობით გათვალისწინებულ სპეციფიკურ რეგულაციებსა და ნებართვებს (მაგალითად, სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარული და ფიტოსანიტარიული ნორმები და ა.შ.).

სათემო და საჯარო პროექტების განმცხადებლებისთვის ხელმისაწვდომი იქნება სრული საპროექტო განაცხადის შედგენის ტრენინგი, რომლის ფარგლებშიც განმცხადებლები ისწავლიან თუ როგორ დაწერონ სრული საპროექტო განაცხადი და გაივლიან ისეთ თემებს, როგორცაა დაინტერესებულ მხარეთა/პირთა ანალიზი,

საჭიროებების შეფასება, ბიუჯეტის შედგენა, ასევე, პროექტის მდგრადობის და რისკების ანალიზი.

სრული სათემო საპროექტო განაცხადის მიღებისას, ყველა ტიპის განმცხადებელს (მათ შორის საინიციატივო ჯგუფებსაც) მოეთხოვება წარმოადგინონ საბოლოო ბენეფიციარების (მოსახლეობის) წარმომადგენლების ხელმოწერებით დადასტურებული წერილობითი დოკუმენტი, სადაც აღწერილი და დასაბუთებული იქნება, რომ პროექტი მიმართულია თემის რეალურ საჭიროებაზე.

საინიციატივო ჯგუფებმა უნდა წარმოადგინონ ხელმოწერილი დოკუმენტი, რომლითაც დასტურდება, რომ ბენეფიციარები (მოსახლეობა) თანახმაა უზრუნველყონ თანადაფინანსება (ხელმოწერათა რაოდენობა განხილული იქნება ინდივიდუალურად პროექტის სპეციფიკიდან გამომდინარე)

ტრენინგების და კონსულტაციების პარალელურად, განმცხადებლები დამოუკიდებლად მოამზადებენ სრულ საპროექტო განაცხადს და დადგენილ ვადებში გადააგზავნიან ელექტრონულ მისამართზე: lagtskaltubogrants@gmail.com; სხვა ფორმით გამოგზავნილი განაცხადი არ მიიღება.

V ეტაპი: სრული საპროექტო განაცხადის წარდგენა და შეფასება

სრული საპროექტო განაცხადის წარდგენა ხდება მხოლოდ იმ განმცხადებლების მიერ, რომელთაც წარმატებით გადალახეს პირველადი საპროექტო განაცხადების შერჩევის ეტაპი და გაიარეს რიგი ტრენინგები. ასეთ განმცხადებლებს სრული საპროექტო განაცხადის წარდგენის ვადების შესახებ ეცნობება სატელეფონო კომუნიკაციის საშუალებით „ფიფლ ინ ნიდის“ თანამშრომლებისაგან.

ტრენინგების შემდგომ, განმცხადებლები დამოუკიდებლად მოამზადებენ და წარადგენენ სრულ საპროექტო განაცხადს ელექტრონული ფორმით (დანართი 7, 9, 11 საპროექტო განაცხადის ტიპის მიხედვით), ელექტრონულ მისამართზე: lagtskaltubogrants@gmail.com. განაცხადის ფორმა უნდა იყოს შევსებული ნაბეჭდი ფორმით. (შენიშვნა: იწარმოება მიღებული დოკუმენტების სია და ყოველ განაცხადს მიენიჭება უნიკალური სარეგისტრაციო ნომერი).

განაცხადი გაეთიშება საგრანტო კონკურსს, თუ:

- განაცხადი წარმოდგენილია არასრულად;
- სწორად არ არის განსაზღვრული თანამონაწილეობის წილი;
- ბიუჯეტში „ფიფლ ინ ნიდისგან“ მოთხოვნილი თანხა 10%-ით და მეტად აღემატება პირველად განაცხადში მოთხოვნილ თანხას;
- საპროექტო განაცხადში ყველა მოთხოვნილი პუნქტი არ არის შევსებული და სიტყვათა მინიმალური რაოდენობა არ ემთხვევა მოთხოვნილს;
- თითოეულ პუნქტსა და ქვეპუნქტში წარმოდგენილი ინფორმაცია შეუსაბამოა სათაურთან;

- ბიუჯეტში შეტანილია დაუშვებელი ხარჯები;
- სავალდებულო დანართები/დოკუმენტები არ არის წარმოდგენილი (მაგალითად: მიწის რეგისტრაციის, ქონების დამადასტურებელი და ა.შ).
- ტექნიკური შეფასებისას განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი ინფორმაცია მიიჩნევა არასრულად.

შეფასების კომისიის წევრებს მიეცემა დრო, რათა წაიკითხონ საპროექტო განაცხადები, შეაფასონ ისინი ინდივიდუალურად და დადონ წერილობითი დასკვნა. შეფასების კრიტერიუმები გამომდინარეობს უკვე დამტკიცებული წყალტუბოს ადგილობრივი განვითარების სტრატეგიიდან (სრული საპროექტო განაცხადის შეფასების კრიტერიუმები იხილეთ დანართები 8, 10, 12, საპროექტო განაცხადის ტიპის მიხედვით).

აუცილებელია, საპროექტო განაცხადში ზუსტად იყოს მითითებული პროექტის შესაბამისობა „წყალტუბოს ადგილობრივი განვითარების სტრატეგია 2020-2024-ის“ იმ პრიორიტეტებთან, რომლებიც 2021 წლის გაზაფხულის საგრანტო კონკურსში უფრო მაღალი პრიორიტეტულობის დონით სარგებლობენ. (იხილეთ, დანართი N1, 21 გვ.)

კონკურსში მონაწილეობის გაგრძელებას შეძლებენ მხოლოდ ის პროექტები, რომლებიც მიიღებენ უმაღლეს შეფასებას. საჭიროების მიხედვით, ტექნიკური ექსპერტები პარალელურ რეჟიმში, ბიზნეს სექტორის საპროექტო განაცხადებზე მოამზადებენ ფინანსურ შეფასებას და შესაბამის რეკომენდაციებს პროექტების შეფასების კომისიისათვის.

შეფასების კომისიის გადაწყვეტილებით, მცირე ხარვეზების მქონე განაცხადის ავტორებს შესაძლებელია მიეცეს დამატებით რამდენიმე დღე განაცხადის სრულყოფისთვის.

განმცხადებელმა განაცხადის შევსებულ ფორმასთან ერთად უნდა წარმოადგინოს პროექტში აღნიშნული ქონების დამადასტურებელი დოკუმენტ(ებ)ი. მაგალითად: ამონაწერი საჯარო რეესტრიდან, იჯარის შემთხვევაში - შესაბამისი დამადასტურებელი დოკუმენტი, ოჯახის წევრის მფლობელობის შემთხვევაში - დროებით სარგებლობაში გადმოცემის დოკუმენტი და ა.შ.

ასევე, სავალდებულოა ყველა შესაბამისი დანართის წარდგენა.
არ განიხილება განაცხადი, რომელსაც არ ახლავს ყველა შესაბამისი დანართი.

დანართები:

- დანართი #1_ ორგანიზაციის წესდება (არსებობის შემთხვევაში);
- დანართი#2_ მოძრავი ან უძრავი ქონების ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;

დანართი #3_ ხელშეკრულებები, წინასწარ შეთანხმების დოკუმენტები;
დანართი #4_ ლიცენზიები, ნებართვები, შესაბამისობის მოთხოვნები;
დანართი #5_ ექსპერტების დასკვნები;
დანართი #6_ ნახაზები, სურათები და ა.შ.
სხვა დოკუმენტაცია, პროექტის სპეციფიკიდან გამომდინარე.

VI ეტაპი: შერჩეულ განმცხადებლებთან გასაუბრება და საველე მონიტორინგი

შეფასების კომისია ჩანიშნავს სპეციალურ შეხვედრას სრული საპროექტო განაცხადის ავტორებთან, რომლებიც ინდივიდუალურად წარადგენენ საკუთარ პროექტებს. პრეზენტაცია ღია იქნება საზოგადოებისათვის. ინტერვიუში მონაწილეობისათვის დამსწრეები უნდა დაემორჩილონ კონკრეტულ პროცედურებს. (მაგ. პირიპირ შეხვედრის შემთხვევაში დამსწრეებს არა აქვთ უფლება გამოიყენონ მობილური ტელეფონები ინტერვიუს პროცესში.) განმცხადებლებსა და მათი ოჯახის წევრებს არ აქვთ უფლება დაესწრონ სხვა განაცხადის ავტორების პრეზენტაციებს. შეფასების კომისიის წევრებს შეუძლიათ დასვან დამატებითი კითხვები პროექტთან დაკავშირებით.

„ფიფლ ინ ნიდის“ ოფისის თანამშრომლები პარალელურ რეჟიმში შეაფასებენ საპროექტო განაცხადში აღწერილ, პროექტისათვის განკუთვნილ უძრავ და მოძრავ აქტივებს ადგილზე გასვლით, რის შემდეგაც წარუდგენენ შესაბამის რეკომენდაციებს პროექტების შეფასების კომისიას.

VII ეტაპი: საბოლოო გადაწყვეტილება და საგრანტო ხელშეკრულების ხელმოწერა

საპროექტო განაცხადების საბოლოო შეფასება ხდება ქულების სისტემის, ინფორმაციის შესაბამისობის, გასაუბრების საფუძველზე და საჭიროების შემთხვევაში პროცესში ჩართული დამოუკიდებელი ექსპერტის რეკომენდაციების გათვალისწინებით.

გამარჯვებული პროექტების შესახებ ინფორმაცია საჯაროდ იქნება გამოცხადებული. ყველას, ვისი პროექტიც არ დაკმაყოფილდება, შეუძლია მიიღოს წერილობითი დასაბუთება.

- პროექტების მხარდაჭერა მოხდება უმაღლესი შეფასების და მოცემული კონკურსისათვის არსებული ფინანსური რესურსების გათვალისწინებით.
- იმ განცხადების ავტორები, რომელთა მხარდაჭერა ვერ მოხდება კონკურსის პირველ რაუნდში, მათი თხოვნის შესაბამისად, მიიღებენ რეკომენდაციებს მომავალი კონკურსისთვის გასათვალისწინებელ საკითხებთან დაკავშირებით.
- თანაბარი ქულების შემთხვევაში, პრიორიტეტი მიენიჭება განცხადებებს, რომელთა ავტორებიც მუდმივად ცხოვრობენ წყალტუბოს მუნიციპალიტეტში.
- შეფასების კომისიამ შეიძლება შესთავაზოს გარკვეული ცვლილებების შეტანა მიღებულ საპროექტო განაცხადში.

გრანტის ზუსტი ოდენობა დამოკიდებული იქნება განაცხადთან ერთად წარდგენილ ბიუჯეტზე. აღნიშნული თანხის გადამოწმება მოხდება შეფასების კომისიის მიერ, რომელიც საჭიროების შემთხვევაში, კონსულტაციისთვის მოიწვევს ტექნიკურ და ფინანსურ ექსპერტებს. კომიტეტმა შესაძლოა განმცხადებელს მოსთხოვოს გაუმართლებელი ხარჯების შემცირება ან ამოღება, რათა განაცხადი აკმაყოფილებდეს პროექტის მიზნებს.

საგრანტო ხელშეკრულება და შესყიდვები:

- მხარდაჭერილი საპროექტო განაცხადის ავტორები „ფიფლ ინ ნიდის“ შესყიდვების ექსპერტებთან ერთად, ამზადებენ საჭირო დოკუმენტაციას.
- პარალელურად, ბიზნეს სექტორის მხარდაჭერილი საპროექტო განაცხადის ავტორები სამართლებრივად რეგისტრირდებიან (თუ ჯერ არ არიან რეგისტრირებული) და წარადგენენ სათანადო დოკუმენტაციას (მაქსიმუმ ერთი კვირის ვადაში).
- შემდგომ მხარდაჭერილი საპროექტო განაცხადის ავტორებთან გაფორმდება საგრანტო ხელშეკრულება.
- განმცხადებელი ახორციელებს საკუთარი ფინანსური თანამონაწილეობის ფარგლებში შესყიდვების პროცედურებს მხოლოდ საგრანტო ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ და შესაბამის ფინანსურ დოკუმენტაციას წარადგენს „წყალტუბოს განვითარების ჯგუფის“ ოფისში.
- განმცხადებლის მხრიდან თანამონაწილეობის ვალდებულების შესრულების დამადასტურებელი დოკუმენტების მიღების შემდეგ, განმახორციელებელი ორგანიზაცია დაიწყებს შესყიდვების პროცესს ბიზნეს და სათემო ინიციატივების/სამოქალაქო ჯგუფების განაცხადებისთვის „ფიფლ ინ ნიდისა“ და დონორების შესყიდვების რეგულაციების შესაბამისად ან გასცემს ფინანსურ ქვე-გრანტს საჯარო და იმ სამოქალაქო საზოგადოების აქტორებზე/ორგანიზაციებზე, რომელთაც აქვთ ადეკვატური ფინანსური კონტროლის სისტემები და მექანიზმები.
- „ფიფლ ინ ნიდის“ მიერ საგრანტო კონკურსის პირობებში გამარჯვებული პროექტების მხარდაჭერა მოხდება 2 გზით:
 - “ფიფლ ინ ნიდის” მიერ **საქონლისა და მომსახურების პირდაპირი შესყიდვა** (განსაკუთრებით, დანადგარები და მოძრავი აქტივები) და შემდგომ გადაცემა/დონაცია გამარჯვებული პროექტისათვის. ეს მიდგომა გამოყენებული იქნება ბიზნესის განვითარებაზე მიმართული პროექტების ქვეპროექტების (როგორც იურიდიული, ისე ფიზიკური პირებისთვის) მხარდაჭერისთვის.
 - **მესამე მხარისათვის ფინანსური გრანტის გადაცემის გზით** - აღნიშნული გადაცემა ისეთ გამარჯვებულ პროექტს/განმცხადებელს, რომელიც შემდგომში სრულად იქნება პასუხისმგებელი სუბსიდირების სწორად ხარჯვაზე, საგრანტო ხელშეკრულების შესაბამისად, მისი ბიუჯეტის

ჩათვლითა და პროექტის აღწერის გათვალისწინებით. ეს მიდგომა გამოყენებული იქნება საჯარო სექტორისა და სამოქალაქო საზოგადოების იმ წარმომადგენელთა პროექტების დასაფინანსებლად, რომლებსაც აქვთ ადეკვატური ფინანსური კონტროლის სისტემები და მექანიზმები. „ფიფლ ინ ნიდის“ ტექნიკური ექსპერტები შეაფასებენ გამარჯვებული განმცახდებლების ფინანსური მენეჯმენტის პროცედურებს და თითოეული შემთხვევის მიხედვით მიიღებენ გადაწყვეტილებას დაფინანსების ტიპის შესახებ.

ფინანსური გრანტის გადაცემა მოხდება რამდენიმე ეტაპად პროექტის სპეციფიკისა და მონიტორინგის ვიზიტების წარმატებულად დასრულების შემდეგ.

საჯარო და სათემო პროექტებისათვის შესაძლოა დაფინანსდეს სპორტული სტადიონების, გამაჯანსაღებელი და სათამაშო მოედნების რეაბილიტაცია და ა.შ.

მხარდაჭერილი პროექტების მონიტორინგი და მართვა

მხარდაჭერილი პროექტების მონიტორინგი განხორციელდება რეგულარულად, სულ მცირე 6 თვეში ერთხელ, „ფიფლ ინ ნიდისა“ და „წყალტუბოს განვითარების ჯგუფის“ მიერ, პროექტით დადგენილი მონიტორინგის გეგმის, კონკრეტული ბიზნეს განაცხადის ინდიკატორებისა და ბენეფიციართან გაფორმებული საგრანტო ხელშეკრულების მიხედვით. მონიტორინგის მიზანია პროექტის პროგრესის და ბენეფიციარის შემდგომი საჭიროებების შეფასება და მხარდაჭერა.

პროექტის მიმდინარეობისას (განხორციელებისა და მონიტორინგის დროს) ყველა სამართლებრივი და ფინანსური დოკუმენტი ხელმისაწვდომი უნდა იყოს შემმოწმებლისთვის.

პირდაპირი ბენეფიციარი აწარმოებს და წარმოადგენს რეგულარულ საბუღალტრო ანგარიშგებას, ახორციელებს ყველა საგადასახადო მოთხოვნას, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. აღნიშნული დოკუმენტაცია ხელმისაწვდომი უნდა იყოს მონიტორინგის გუნდისთვის 3 წლის განმავლობაში. პროგრამის ფარგლებში მხარდაჭერილი პროექტები უნდა დარჩეს მოქმედი და ემსახურებოდეს დასახულ მიზნებს განმცახდებლის მიერ შეთანხმებული პერიოდის განმავლობაში.

გამოცდილების გაზიარების მიზნით, „ფიფლ ინ ნიდის“ და „წყალტუბოს განვითარების ჯგუფის“ მოთხოვნის საფუძველზე, ბენეფიციარმა უნდა უზრუნველყოს თავისი საწარმოს/წარმოების ჩვენება ყველა დაინტერესებული პირისთვის, საგრანტო ხელშეკრულების ხელმოწერიდან მინიმუმ მომდევნო 3 წლის განმავლობაში.

„ფიფლ ინ ნიდის“ მიერ, საგრანტო კომპონენტის ფარგლებში გამარჯვებული პროექტისთვის შეძენილი ქონება პროექტის ავტორს გადაეცემა მიღება-ჩაბარების

აქტით. მიღება-ჩაბარების აქტის მიხედვით, გადაცემული ნივთები/აღჭურვილობა ითვლება „ფიფლ ინ ნიდის“ საკუთრებად მონიტორინგის დასრულებამდე.

იმ შემთხვევაში, თუ მონიტორინგის ყველა ანგარიშმა გამოავლინა პროექტის წარმატებული მიმდინარეობა და არ დაფიქსირდა საგრანტო ხელშეკრულების პირობების დარღვევები, ბენეფიციარის დროებით სარგებლობაში მიღებული ქონება, დამატებითი ხელშეკრულების საფუძველზე, გადაეცემათ საკუთრებაში.

იმ შემთხვევაში, თუ მონიტორინგის შედეგად გამოვლინდა, რომ ბენეფიციარის მიერ არ სრულდება კონტრაქტით გათვალისწინებული პირობები, შესაძლებელია გადაცემული ქონება ჩამოერთვეს ბენეფიციარს და გაუქმდეს საგრანტო ხელშეკრულება. ასეთ დროს, აღჭურვილობა გადაეცემა სხვა პროექტის ბენეფიციარს.

აპელაციის პროცედურები

ყველა ინფორმაცია განაცხადზე მიღებული გადაწყვეტილების შესახებ მიეწოდება პერსონალურად განმცხადებელს. ყველა გამარჯვებული პროექტის შესახებ ინფორმაცია აიტვირთება „წყალტუბოს განვითარების ჯგუფის“ ვებ-გვერდზე.

იმ შემთხვევაში, თუ განმცხადებლის პროექტი ვერ მოხვდება გამარჯვებულ პროექტთა შორის, დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მოითხოვონ სარეკომენდაციო წერილი, წარმოდგენილი საპროექტო განაცხადის მომავალში გაუმჯობესების მიზნით. თუკი დარღვეულია საკონკურსო პროცედურები, შეფასების ეტაპები არაა დაცული და პროექტი შეფასებული არაა საგრანტო სახელმძღვანელოში მოცემული კრიტერიუმების შესაბამისად, განმცხადებელს შეუძლია, წერილობითი ფორმით მიმართოს „ფიფლ ინ ნიდის“ პროექტის მენეჯერს. პროექტის მენეჯერი დამატებით მიიძიებს ინფორმაციას და „ფიფლ ინ ნიდ“ მიიღებს გადაწყვეტილებას პროექტთან მიმართებით შემდგომი ნაბიჯების შესახებ. ფაქტობრივად დაუსაბუთებელი გასაჩივრების შემთხვევაში აპელაციის პროცედურები არ განხორციელდება.

ნებისმიერი მოსაზრება ან შენიშვნა, რაც უკავშირდება შერჩევის პროცესს შეიძლება გაგზავნილი იქნას „ფიფლ ინ ნიდ“-ის საქართველოს სათაო ოფისში შემდეგ მისამართზე: საქართველო, თბილისი, 0105, გ. ქიქოძის ქ. #16, ან გაიგზავნოს ელექტრონული ფოსტით: feedback.georgia@peopleinneed.cz

ბენეფიციარების შესაძლებლობების ზრდა:

საგრანტო კონკურსში მონაწილეობის შემდეგ წარმატებული განმცხადებლები მიიღებენ მათ საჭიროებებზე მორგებულ შესაძლებლობების ზრდის აქტივობებში მონაწილეობის შეთავაზებას.

2021 წლის გაზაფხულის საგრანტო კონკურსის სპეციალური პრიორიტეტები

2021 წლის გაზაფხულის საგრანტო კონკურსის სპეციალური პრიორიტეტები, Covid - 19 ეპიდემიის ნეგატიური შედეგების პრევენციისა და მათზე რეაგირების მიზნით შეიქმნა და მოქმედებს „წყალტუბოს განვითარების ჯგუფის“ 2021 წლის გაზაფხულის საგრანტო კონკურსის ფარგლებში. აღნიშნული პრიორიტეტების შექმნას საფუძვლად უდევს ა(ა)იპ „ფიფლ ინ ნიდისა“ და „წყალტუბოს განვითარების ჯგუფის“ მიერ ჩატარებული კვლევა და კვლევის შედეგების „წყალტუბოს განვითარების ჯგუფის“ აქტიურ წევრებთან განხილვა-დისკუსია. ყოველივე ამის შედეგად გამოვლენილი პრიორიტეტული მიმართულებები, მოცემულია წინამდებარე დოკუმენტში, რომელიც წარმოადგენს „წყალტუბოს განვითარების ჯგუფის 2021 წლის გაზაფხულის საგრანტო კონკურსის სახელმძღვანელოს“ განუყოფელ ნაწილს.

ცვლილების საჭიროება

გვინდა ხაზგასმით აღვნიშნოთ, რომ წინამდებარე ცვლილებების განხორციელებით ხდება „წყალტუბოს ადგილობრივი განვითარების სტრატეგია 2020-2024-ის“ პრიორიტეტების 2021 წლის გაზაფხულის საგრანტო კონკურსისთვის დაზუსტება. აღნიშნული ცვლილების საჭიროება განაპირობა Covid - 19 პანდემიით გამოწვეულმა ეკონომიკურმა რყევებმა წყალტუბოს მუნიციპალიტეტში, რამაც განსაკუთრებით თვალსაჩინო გახადა ეპიდემიოლოგიურ პირობებში თემის ყველაზე მოწყვლადი ჯგუფების მდგომარეობა და გააჩინა აუცილებლობა 2021 წლის გაზაფხულის საგრანტო კონკურსი კიდევ უფრო ეფექტური და გამოწვევებზე რეაგირებადი გამხდარიყო. ა(ა)იპ „ფიფლ ინ ნიდისა“ და „წყალტუბოს ადგილობრივი განვითარების ჯგუფის“ საგრანტო კონკურსი წარმოადგენს ერთერთ უმთავრეს მექანიზმს ადგილობრივი თემის სოციალური გამოწვევების საპასუხოდ. სწორედ ამიტომ, ამ მექანიზმის მოქნილობა კრიტიკულად აუცილებელია მისი საბოლოო მიზნის წარმატებული განხორციელებისათვის, რაც გულისხმობს ადგილობრივი თემის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების ხელშეწყობას.

ცვლილების მიზანი

„წყალტუბოს ადგილობრივი განვითარების სტრატეგია 2020-2024-ის“ პრიორიტეტების დაზუსტება არ გულისხმობს სტრატეგიის არსებით ცვლილებას, მისი სხვა რომელიმე ნაწილის ცვლილებას ან/და მისი პრიორიტეტების ნაწილის სრულ ცვლილებას. იგი გამომდინარეობს მხოლოდ 2021 წლის საგრანტო კონკურსის ეფექტურად ჩატარების აუცილებლობიდან.

წინამდებარე ცვლილების უმთავრეს მიზანს წარმოადგენს კვლევის ფარგლებში იდენტიფიცირებულ Covid-19 პანდემიურ გამოწვევებზე ეფექტური რეაგირება. ასევე წყალტუბოს მუნიციპალიტეტში ეკონომიკური სირთულეების დაძლევისათვის აუცილებელი მექანიზმების გააქტიურება და სპეციფიური ეკონომიკური საჭიროებების წინ წამოწევის გზით კონკრეტული ეკონომიკური სექტორების მიზანმიმართული მხარდაჭერა.

სამიზნე ჯგუფები

წინამდებარე დოკუმენტის შემუშავების პროცესში კვლევის სამიზნე ჯგუფი არ შემოიფარგლებოდა ერთი რომელიმე, ან რამდენიმე კონკრეტული მახასიათებლით. Covid-19 პანდემიის მასიური გავლენის გამო, ასევე საგრანტო კონკურსის მასშტაბის გათვალისწინებით, აუცილებელი იყო წყალტუბოს მთელს მუნიციპალიტეტში მცხოვრები ადამიანების უკუკავშირი აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით. სწორედ ამიტომ, მოსამზადებელი სამუშაოების ფარგლებში ჩატარებული კვლევა დაეფუძნა; სოციალური, გენდერული და ასაკობრივი მრავალფეროვნების პრინციპს.

პრიორიტეტების შემუშავების მექანიზმი

წინამდებარე პრიორიტეტები შემუშავდა „ლიდერ მიდგომის“ გამოყენებითა და წყალტუბოს განვითარების ჯგუფის წევრების აქტიური ჩართულობით. ანალიზის საფუძველს წარმოადგენდა ინდივიდუალური კითხვარი, რომლის შედეგებიც განხილულ იქნა წყალტუბოს ლაგის ერთობლივ შეხვედრაზე კვლევის ფარგლებში გამოიკითხა სხვადასხვა ასაკის, სქესისა და სოციალური სტატუსის მქონე ადამიანი. კითხვარის მიზანს წარმოადგენდა შემდეგი გარემოებების იდენტიფიკაცია;

- Covid-19 პანდემიით გამოწვეული ეკონომიკური კრიზისის მიზეზით სამსახურეობრივი/დასაქმების მდგომარეობის გაუარესების მაჩვენებელი წყალტუბოს მუნიციპალიტეტში
- Covid-19 პანდემიით გამოწვეული შიდა მიგრაციის მაჩვენებელი
- Covid-19 პანდემიით გამოწვეული მოწყვლადობის მაჩვენებელი ასაკობრივი ასპექტის გათვალისწინებით
- Covid-19 პანდემიით გამოწვეული მოწყვლადობის მაჩვენებელი გენდერული ასპექტის გათვალისწინებით

კვლევის შედეგად გამოიკვეთა შემდეგი პრიორიტეტები, რომლებიც უპირატესია 2021 წლის გაზაფხულის საგრანტო კონკურსისათვის;

- ახალგაზრდული ინიციატივები
- ბიზნეს სტარტაპები
- ინოვაციური ბიზნეს პროექტები
- გასართობი აქტივობები
- პროექტები, რომლებიც ხელს უწყობს მოწყვლადი ჯგუფების წარმოადგენლების - ახალგაზრდების, ქალების, მაღალმთიან რეგიონში მცხოვრები პირების, იძულებით გადაადგილებული პირების, ეკო მიგრანტებისა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების ინტეგრაციასა და დასაქმებას;
- პროექტები, რომლებიც მხარს უჭერს სოფლად მცხოვრებ მოსახლეობას, როგორც სოციალური სერვისების მიწოდებით, ისე ბიზნეს საქმიანობების წარმართვით;

ასევე პრიორიტეტულ ჯგუფებად განისაზღვრა:

- ახალგაზრდები
- მაღალმთიანი სოფლების მოსახლეობა
- ქალები

- იძულებით გადაადგილებული პირები
- შშმ პირები
- ეკო მიგრანტები

პრიორიტეტების პრაქტიკული განხორციელების გეგმა

წინამდებარე დოკუმენტის 2021 წლის გაზაფხულის საგრანტო სახელმძღვანელოში ინტეგრირების გზით, 2021 წლის გაზაფხულის საგრანტო კონკურსის განხორციელება დაეფუძნება აღნიშნული პრიორიტეტების იდენტიფიცირებას, მათ წინ წამოწევასა და მაქსიმალურ ხელშეწყობას.

პრიორიტეტების დოკუმენტის მიღებით წყალტუბოს ადგილობრივი განვითარების ჯგუფის საგრანტო კონკურსის შესარჩევი კომისიის გადაწყვეტილებები მაქსიმალურად ადაპტირებული გახდება არსებულ საჭიროებებზე და მოახდენს მათ პრიორიტეტული მიდგომით განხილვას.

აღნიშნული პრიორიტეტების დოკუმენტი, სხვა კორპორატიულ დოკუმენტებთან ერთად უნდა გახდეს წყალტუბოს ადგილობრივი განვითარების ჯგუფის სახელმძღვანელო, თემისათვის ყველაზე აუცილებელი ბიზნეს, საჯარო და სათემო პროექტების დაფინანსების პროცესში.